სსიპ - ფინანსთა სამინიტროს აკადემიის საქმიანობის შესახებ 2015 წლის ანგარიში

ფინანსთა სამინისტროს სისტემის კადრების სწორად შერჩევის, პროფესიული სწავლების, მომზადება/გადამზადებისა და მათი მუშაობის ეფექტიანობის ზრდის მიზნით, აკადემიაში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისათვის, აფხაზეთისა და აჭარის ა/რ სამინისტროების თანამშრომლებთან ერთად პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე მონაცემთა დამმუშავებლების ცნობიერების ამაღლების, ასევე, მათთვის საკანონმდებლო ნორმების გაცნობისა და განმარტების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„პერსონალური მონაცემების დაცვა“** (28 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, დავების სამსახურის, საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის, საერთაშორისო დაბეგვრის სამმართველოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„ელექტრონული საბუღალტრო პროგრამა ორისი“** (10 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს აუდიტის სამსახურის თანამშრომლებსთვის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ფორმებისა და პრინციპების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტების, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების წესის, აღსრულების საკითხების, დავებისა და პრობლემების გადაჭრის გზების, სახელმწიფოსა და საჯარო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის საკითხების განხილვის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე **„ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“** (11 მსმენელი).
- „დაძმობილების“ პროექტის ფარგლებში სამინისტროს სისტემის შუა რგოლის მენეჯერებისათვის ლიდერული და მენეჯერული უნარ-ჩვევების განმტკიცების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„ლიდერობასა და მართვა**“ (17 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და სისტემის სხვა თანამშრომლებისათვის, რომლებიც თანამშრომლობენ აკადემიასთან ტრენერებად, ტრენინგის დაგეგმვისა და განხორციელების თანამედროვე მეთოდიკის გაცნობის მიზნით, ჩატარდა კურსი თემაზე **„ტრენერთა ტრენინგი**“ (34 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობის გაცნობისა და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, სხვა კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ფიზიკურ პირებთან ერთად, ტრენინგს თემაზე **„საგადასახადო კანონმდებლობა**“ გაიარეს ფინანსთა სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები (4 მსმენელი).
- ფრანგული ფარმაცევტული კომპანია ლე ლაბორატუა სერვიე-ს თანამშრომლებთან ერთად აკადემიის 1 (ერთი) თანამშრომელი დაესწრო ტრენინგს **ეფექტური პრეზენტაცია**, რომელიც მიზნად ისახავდა მსმენელთათვის კომუნიკაციის უნარების განვითარებას.
- ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილობითი მოლაპარაკებების უკეთ წარმართვის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის დასრულდა პირველი ეტაპი ტრენინგებისა **ინგლისურ ენაში** (70 მსმენელი), ამჟამად მიმდინარეობს მეორე ეტაპი, რომელიც გასტანს 2016 წლის 31 მაისამდე (102 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და ხაზგასმის (რაც შესაძლოა გამოყენებული იქნას სამინისტროს შემდგომი განვითარებისთვის), ასევე, სუსტი მხარეებისა და საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით, აკადემიის ორგანიზებით დასრულდა **SWOT ანალიზი**.
- ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად და მათი საქმიანობის ეფექტიანად და სწორად განხორციელებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, **ჩატარდა სპეციალიზებული კურსი**. პროგრამა მოიცავდა შემდეგი დისციპლინების გაცნობას: სისხლის სამართალი (მატერიალური ნაწილი); სისხლის სამართლის პროცესი; ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი; სახელმწიფო

ბიუჯეტი; პერსონალური მონაცემების დაცვა; ფინანსური აუდიტი; საგადასახადო კანონმდებლობა (სულ 80 მსმენელი).

- ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებისათვის სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებთან ერთად ექსელი პროგრამის გამოყენებით ფინანსური ანგარიშგების ასახვისა და განთავსებული ინფორმაციის ანალიზის შესწავლის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„ფინანსური მოდელირება ექსელში“** (3 მსმენელი).
- საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის, სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებთან ერთად ტარდება ტრენინგი **„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება**“ (6 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სამინისტროების საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომლებისთვის მედიასთან მუშაობის გამოწვევების, სოციალური მედიის გამოყენების, სტრატეგიული კომუნიკაციის დაგეგმარების, კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის შესახებ ჩატარდა ტრენინგი „**კომუნიკაცია**“ (2 მსმენელი).
- საჯარო სექტორში დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და გატარებული ცვლილებების გაცნობის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის საფინანსო მიმართულების თანამშრომლებისთვის, სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებთან ერთად ჩატარდა ტრენინგი **„საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS 2-4, 6**) პრაქტიკული კურსი“ (2 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის პროექტის მენეჯმენტის, როგორც ცალკე დისციპლინის, მისი გამოყენების აუცილებლობებისა და უპირატესობების, პროექტის მენეჯმენტის შემადგენელი კომპონენტების, უახლესი მიდგომებისა და პროექტის ეფექტური დაგეგმვისა და კონტროლისათვის კომპიუტერული უზრუნველყოფის პროგრამის (MS Project) გაცნობის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„პროექტების პრაქტიკული მართვა“** (10 მსმენელი).
- მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ექსპერტების მიერ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების კონცეფციის შემუშავების გამოცდილების გაზიარების მიზნით, სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის განხორციელდა ტრენინგი თემაზე: **„მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების კონცეფცია**“ (28 მსმენელი).
- სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის სამსახურის თანამშრომლებისთვის ეფექტური კომუნიკაციის საფუძვლების, კონფლიქტური სიტუაციების, შესაძლო გართულებების თავიდან არიდების და სხვა შესაბამისი საკითხების განხილვის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე **„ბიზნეს კომუნიკაცია“** (79 მსმენელი).
- სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლებისათვის კომუნიკაციის უნარების განვითარებისა და გამყარების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„მოსმენისა და წარმატებული უკუკავშირის უნარის განვითარება და გამოყენება**“ (17 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ინტერვიუების, პრეზენტაციებისა და საჯარო გამოსვლების უკეთ ჩატარების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი: **„პრეზენტაციის ჩატარების ტექნიკები“.** (14 მსმენელი)
- სსიპ **შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის სტაჟიორებისთვის ჩატარდა პეციალიზებული კურსი**, რომელიც მიზნად ისახავდა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის სტაჟიორების კვალიფიკაციის ამაღლებას და შემდეგი საკითხების და სახელმძღვანელოების შესწავლას: საგადასახადო კოდექსი, მანუალები, წინასწარი გადაწყვეტილებები, აუდიტის სახელმძღვანელო აუდიტის დეპარტამენტის სტაჟიორებისათვის (სულ 83 მსმენელი).
- სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის პროგრამაში მუშაობის ცოდნის დაუფლებისა და სისტემაში საჭირო ოპერაციების შესრულების მიზნით, სხვა ორგანიზაციების თანამშრომლებთან ერთად გადამზადდა სსიპ საფინანსო-ანალიტიკურის სტაჟიორები და პრაქტიკანტი სასწავლო პროგრამით **სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა** (3 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს **საგამოძიებო სამსახურის სტაჟიორებისთვის** ცოდნის მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, ჩატარდა **სპეციალიზებული კურსი**, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგი დისციპლინების გაცნობას: სისხლის

სამართალი (მატერიალური ნაწილი); სისხლის სამართლის პროცესი; ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი; სახელმწიფო ბიუჯეტი; პერსონალური მონაცემების დაცვა; ფინანსური აუდიტი; საგადასახადო კანონმდებლობა (სულ 15 მსმენელი).

- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: **თამბაქოს შესახებ კანონის აღსრულება საქართველოში**. კურსი მიზნად ისახავდა თამბაქოს მოხმარების ეპიდემიოლოგიის, ჯანმრთელობაზე ზემოქმედებისა და კონტროლის ზოგადი საკითხების, საერთაშორისო ვალდებულებებისა და თამბაქოს კონტროლის ეროვნული სტრატეგიის, თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის მიმოხილვას (სულ 20 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებისთვის ელექტრონულ ცხრილებში მუშაობის, მონაცემების შეგროვების, კლასიფიცირების, პირველადი დამუშავებისა და მარტივი გამოთვლების, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **Ms. Excel პროფესიული კურსი** (სულ 14 მსმენელი).
- ევროკავშირის სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის პროგრამის ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები** (16 მსმენელი).
- ქართული ენის ნორმების დაცვის, გამართული მიმოწერის წარმართვისა და საქმიანი ქაღალდების შედგენის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„სახელმწიფო ენა მოხელეთათვის“** (39 მსმენელი).
- სსიპ შემოსავლების სამინისტროს თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების საკითხებში**. მებაჟე ოფიცრების მიერ გამოვლენილი ნებისმიერი საბაჟო სამართალდარღვევის ასახვა მოხდება ამ მონაცემთა ბაზაში, რაც საშუალებას მისცემს საბაჟო ორგანოებს უფრო ეფექტურად მოახდინონ რისკების მართვა. (21 მსმენელი)
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისთვის, მართწერის საკითხების შესწავლის, აზრის ჩამოყალიბების და ეფექტური დოკუმენტების შექმნის ტექნიკის დაუფლების მიზნით, ჩატარდა ტრენიგი **"სახელმწიფო ენა და ეფექტური კომუნიკაცია"** (19 მსმენელი).

❖ ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტების სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე პროფესიული და ინგლისური ენის ტესტირება/გასაუბრება ჩაუტარდა დასაქმების მსურველ კანდიდატებს (სულ 1168 კანდიდატი).

საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის სწორად და ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა - საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციებისათვის სასწავლო პროექტების, საკანონდებლო სიახლეების გაცნობისა და დამატებითი სერვისების შეთავაზების გზით - სხვადასხვა საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსები სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ:

- ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების სამეურნეო ოპერაციებისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ სრული და საიმედო ინფორმაციის ფორმირების, საჯარო სექტორის სპეციფიკაციის გათვალისწინებით ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მიზნით,სხვადსხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა სასწავლო კურსი **„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“** (88 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობის გაცნობისა და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, განხორციელდა სასწავლო პროგრამა **„საგადასახადო კანონმდებლობა“** (32 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობის, საგადასახადო აუდიტის განხორციელების პროცედურების, ალტერნატიული აუდიტის არსის და პროცედურებისა და ამ მიმართულებით პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და ფიზიკურ პირებს ჩაუტარდათ კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტის განხორციელების პროცედურები“** (52 მსმენელი).

- შედგა სამუშაო შეხვედრა აღმოსავლეთ ევროპაში დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვის გაუმჯობესება შესაძლებლობათა გაძლიერების გეგმების შემუშავების გზით (16 მსმენელი).
- სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის, შესყიდვების დაგეგმვისა და ტენდერის ჩატარების პროცედურების შესწავლის მიზნით, განხორციელდა სასწავლო კურსი **„სახელმწიფო შესყიდვები“** (58 მსმენელი).
- სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის პროგრამაში მუშაობისა და სისტემაში საჭირო ოპერაციების შესრულების ცოდნის მიღების მიზნით, ფინანსური განყოფილების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა**“ (477 მსმენელი).
- სახელმწიფო ბიუჯეტის, საბიუჯეტო აღრიცხვა-ანგარიშგების, საგადასახადო სისტემის, სახელმწიფო შესყიდვებისა და კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა „ორისის“ შესწავლის მიზნით, განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა სპეციალიზებული სასწავლო კურსი (30 მსმენელი).
- ორგანიზაციების ფინანსური საქმიანობის ელექტრონული ბუღალტრული პროგრამის გამოყენებით წარმოების შესწავლის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„ბუღალტრული კომპიუტერული პროგრამა „ORIS**” (31 მსმენელი).
- სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენისთვის სათანადო ცოდნისა და კვალიფიკაციის მიღების მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინასისტებს ჩაუტრდათ ტრენინგი „**IPSAS-ი საქართველოს საჯარო სექტორში და ფინანსური ანგარიშგება მოდიფიცირებული საკასო მეთოდით“** (126 მსმენელი).
- საჯარო სექტორში დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და გატარებული ცვლილებების გაცნობის მიზნით, ჩატარდა ტრენინგები „**საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS 2-4, 6)** პრაქტიკული კურსი“ (330 მსმენელი).
- ექსელი პროგრამის გამოყენებით ფინანსური ანგარიშგების ასახვისა და განთავსებული ინფორმაციის ანალიზის შესწავლის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„ფინანსური მოდელირება ექსელში**“ (40 მსმენელი).
- საწარმოს საქმიანობის შეფასების ანალიზისა და პროგნოზირების სისტემური მეთოდების, საფინანსო მაჩვენებლების შეფასების შესწავლის მიზნით, კომერციული საწარმოების ფინანსური მენეჯერებისათვის განხორციელდა პრაქტიკული სასწავლო პროგრამა **„ფინანსური მენეჯმენტი**“ (11 მსმენელი).
- პროექტის მენეჯმენტის, როგორც ცალკე დისციპლინის, მისი გამოყენების აუცილებლობებისა და უპირატესობების, პროექტის მენეჯმენტის შემადგენელი კომპონენტების, უახლესი მიდგომებისა და პროექტის ეფექტური დაგეგმვისა და კონტროლისათვის კომპიუტერული უზრუნველყოფის პროგრამის (MS Project) გაცნობის მიზნით, ფიზიკურ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„პროექტების პრაქტიკული მართვა**“ (3 მსმენელი).
- სამართლებრივი წერის CREAC მეთოდის გამოყენებით ობიექტური და დამარწმუნებელი წერილობითი ანალიტიკური ნაწერის შექმნის შესწავლის მიზნით, სსიპ ინტელექტუალური საკითრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“-ს თანამშრომლებისთვის განხორციელდა ტრენინგი **„სამართლებრივი წერა“** (22 მსმენელი).
- ცალკეული გადასახადების დეკლარაციებისა და გაანგარიშების ფორმების შევსების შესწავლის მიზნით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა **„ცალკეული გადასახადების დეკლარაციებისა და გაანგარიშების ფორმების შევსების პროცედურები**“ (2 მსმენელი).
- საგადასახადო კოდექსის აქტუალური და პრობლემური საკითხების განხილვისა და პრაქტიკაში მისი გამოყენების მიზნით, კომერციული ორგანიზაციების ფინანსებსტებისათვის მიმდინარეობდა ტრენინგები **„საგადასახადო კოდექსის პრაქტიკული კურსი“** (62 მსმენელი).
- ფრანგული ფარმაცევტული კომპანია ლე ლაბორატუა სერვიე-ს თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **ეფექტური პრეზენტაცია**, რომელიც მიზნად ისახავდა მსმენელთათვის კომუნიკაციის უნარების განვითარება, აუდიტორიასთან კომუნიკაციისა და ეფექტური პრეზენტაციის ჩატარების თავისებურებებს. (**10** მსმენელი).
- **მაკროეკონომიკური ტენდენციების მიმოხილვის** მიზნით, განხორციელდა ფინანსთა მინისტრის

შეხვედრა საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან (25 მსმენელი).

- თბილისის მერიის შიდა აუდიტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსები **„ადმინისტრაციული წარმოება“** (14 მსმენელი), **„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“** (18 მსმენელი).
- ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ახლბედა თანამშრომლებისთვის და ფიზიკური პირებისთვის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მიზნით, ტარდება სასწავლო **კურსი: “ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და ფინანსური აღრიცხვა/ანგარიშგება საჯარო სექტორში“** (16 მსმენელი).
- ეფექტიანობის აუდიტის დაგმგმვის, მართვის და განხორციელების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, საჯარო სექტორში დასაქმებული აუდიტის სამსახურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„ეფექტიანობის აუდიტი“** (25 მსმენელი).
- შიდა აუდიტორთა ინსტიტუტმა საქართველოში IIA-Georgia-მ საქართველოს ორგანიზაციებში დასაქმებული შიდა აუდიტორებისთვის წარმოადგინა პრეზენტაცია: **ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა ორგანიზაციაში - შიდა აუდიტის როლი** (21 მსმენელი).
- საგადასახადო კოდექსის კონკრეტულ საკთხებში თეორიული ცოდნის გაღრმავების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე **„ორმაგი დაბეგვრის პრინციპები“** (5 მსმენელი).
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი თემაზე **„საგადასახადო კოდექსის პრაქტიკული კურსი“;** ტრენინგის ფარგლებში, მსმენელებს გააცნეს მათ მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციებიდან წარმოქმნილი გადასახადები, მათი გაანგარიშების, დეკლარირებისა და გადახდის წესები, აგრეთვე, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათები (462 მსმენელი).
- მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, მეწარმეებისა და მეწარმეობის დაწყების მსურველთათვის დასრულდა ტრენინგები სამი მიმართულებით: „**საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები და ფინანსების მართვა**“ (161 მსმენელი), „**სახელმწიფო შესყიდვები**“ (89 მსმენელი), **„სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობა**“(160 მსმენელი).
- დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები **„ლიდერობა და მართვა“** (13 მსმენელი), **„პრეზენტაციის ჩატარების ტექნიკები“**(19 მსმენელი), **„საბიუჯეტო ორგანიზაციების გადასახდელების გადახდა და საბიუჯეტო კლასიფიკაცია“** (10 მსმენელი), **„საბიუჯეტო ორგანიზაციებში აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია“** (24 მსმენელი).
- საქართველოს ბანკისა და სადაზღვევო კომპანია ალდაგის თანამშრომლებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილება და გაფორმების პროცედურების, პრაქტიკული რჩევების გაიზიარების მიზნით, ჩაუტარდათ ტრენინგი **„საბაჟო გაფორმება და პროცედურები“** (20 მსმენელი).
- საქართველოს კულტურის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების ფინანსური განყოფილების თანამშრომლებისთვის ჩატარდა 2 ტრენინიგი: **საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება და საგადასახადო კანონმდებლობა** (32 მსმენელი), ამჟამად აღნიშნული ტრენინგი მიმდიანრეობს მე-3 ჯგუფისთვის (19 მსმენელი).
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის პილოტურ რეჟიმში დანერგვის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა სამინისტროს შიდა აუდიტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა „**ფინანსური მართვა და კონტროლი“** (15 მსმენელი).
- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებისთვის, მართლწერის საკითხების შესწავლის, აზრის ჩამოყალიბებისა და ეფექტური დოკუმენტების შექმნის ტექნიკის დაუფლების მიზნით, ჩატარდა ტრენიგი **“სახელმწიფო ენა და ეფექტური კომუნიკაცია**“ (21 მსმენელი).
- სხვადასხვა საწარმოს ფინანსური სამსახურის თანამშრომლებისთვის განხორციელდა ტრენინგი „**ფინანსური ანალიზი, ანგარშგება, მართვა“**, რომლის ფარგლებში მსმენელებს აუმაღლდათ ცოდა შემდეგ საკითხებში: ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსური ანალიზი და ანგარიშგება, კორპორატიული

ფინანსები, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა (5 მსმენელი).

- სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაკვეთით, რეგიონების სასტუმროების ბუღალტრებისთვის ჩატარდა ტრენინგები **საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ანგარიშგება** (45 მსმენელი).
- უწყებათშორისი საბჭოს (რომლის სამდივნოს მოვალეობას ასრულებს ფინანსთა სამინისტრო) სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში, "ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს აღმოსავლეთ პარტნიორობის" პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო პროექტის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი **ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ეროვნული რისკების შეფასება**, რომლის მიზანი იყო ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (Financial Action Task Force) რეკომენდაციების განხილვა (28 მსმენელი).
- სამინისტროების საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომლებისთვის მედიასთან მუშაობის გამოწვევების, სოციალური მედიის გამოყენების, სტრატეგიული კომუნიკაციის დაგეგმარების, კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის შესახებ ჩატარდა ტრენინგი „**კომუნიკაცია**" (41 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სამინისტროების შიდა აუდიტის თანამშრომლებისთვის შიდა აუდიტის სფეროში არსებული და ახალი კადრების ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი „**სისტემური აუდიტი**" (სულ 25 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის, სხვა სამინისტროების თანამშრომლებთან ერთად, ჩატარდა ტრენინგი: "**ინფორმაციის მართვა, თაღლითობა, კარგი მმართველობის აუდიტი**". კურსი ინიცირებული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ და განხორციელდა საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერით, ნატო-საქართველოს პროფესიული პროგრამის ფარგლებში (სულ 17 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სამინისტროების თანამშრომლებისთვის რისკის მართვის პროცესების მნიშვნელობის გაზიარების მიზნით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა: **რისკის მართვის სისტემის დანერგვა საჯარო დაწესებულებაში - საქართველოს ეროვნული ბანკის პრაქტიკა** (სულ 19 მსმენელი).

❖ აკადემიამ განახორციელა აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის, აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს, აჭარის არ მთავრობის აპარატის, ააიპ აგროსერვის ცენტრისა და შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ გამოცხადებულ ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის შესარჩევი ეტაპის (პროფესიული მიმართულების, ინგლისური ენისა და რუსული ენის დონის დასადგენი ტესტირება) ორგანიზება და ჩატარება (747 აპლიკანტი).

საერთაშორისო და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ერთობლივი სასწავლო პროექტების განხორციელება:

- საგადასახადო კანონმდებლობის გაცნობისა და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, სხვა კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ფიზიკურ პირებთან ერთად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე **„საგადასახადო კანონმდებლობა"** (2 მსმენელი).
- სხვადასხვა სამინისტროს შიდა აუდიტის სუბიექტებისათვის თანამედროვე წარმატებული პრაქტიკის, მიდგომების გაზიარებისა და შიდა აუდიტის საფუძვლების გაცნობის მიზნით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამხრეთ კავკასიის ოფისთან თანამშრომლობით განხორციელდა ტრენინგები თემაზე **„შიდა აუდიტის საფუძვლები"** (65 მსმენელი) და **„სისტემური აუდიტი"** (25 მსმენელი).

- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამხრეთ კავკასიის ოფისთან თანამშრომლობით სხვასხვა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად **2016 წლის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების** მიზნით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები.(75 მსმენელი)
- აშშ-ის საელჩოსთან ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის უწყებებში შუა რგოლის მენეჯერების ლიდერობის უნარების განვითარების მიზნით ჩატარდა ტრენინგები თემაზე **„ლიდერობა და მართვა“** (45 მსმენელი).
- საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტთან გაფორმებული ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტის ახალგაზრდული პროექტის წევრებისთვის (სხვადსხვა უნივერსიტეტის სტუდენტები) ეფექტური კომუნიკაციის, სტრატეგიული ლიდერობის, თვითშეფასების, კონფლიქტების მართვის საკითხებზე ჩატარდა ტრენინგ კურსი **„ლიდერობა და მართვა“** (16 მსმენელი).
- თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის პროექტ „ლიდერის“ განხორციელებისათვის მათთთან ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, თსუ-ს საუკეთესო სტუდენტებს მოტივაციის, ხელმძღვანელის კომპეტენციის, ეფექტური კომუნიკაციისა და სტრატეგიული ლიდერობის, ასევე სტრატეგიული მართვის მოდელისა და კონფლიქტების მართვის საკითხებზე ჩაუტარდათ ტრენინიგი **„ლიდერობა და მართვა“** (17 მსმენელი).
- თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ფსიქოლოგიურ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორებისთვის პიარის გეგმის შედგენის, მედიასთან ურთიერთობისია და პიარ დოკუმენტების მომზადება-გავრცელების შესწავლის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„საზოგადოებასთან ურთიერთობა“** (12 მსმენელი).
- USAID-ის პარტნიორ ორგანიზაციასთან „მმართველობა განვითარებისათვის“ თანამშრომლობით, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრები: **„გზა წარმატებული ცხოვრებისაკენ“** (25 მსმენელი) და **„როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ საკუთარი ბიზნესი“** (29 მსმენელი), „**საჯარო სამსახურში საქმიანობის სამართლებრივი და ეთიკური სტანდარტები“** (21 მსმენელი), საუბრები **ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“** (33 მსმენელი).
- სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის განვითარების მიზნებიდან ახალი ტრენინგის დანერგვის მიზნით, კადრების სწორად შერჩევის, მოტივაციის, სამუშაოს შესრულების შეფასების, სწავლებისა და განვითარების მიმართულებით ტემპუსის პროგრამის ევროინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების მაგისტრანტებისთვის ჩატარდა საპილოტე ტრენინგი თემაზე: „**ადამიანური რესურსების მართვა“** (11 მსმენელი).
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართელობის წერილის თანახმად თსუ-ს სტუდენტებს ეფექტური კომუნკაციის დამყარების, არავერბალური კომუნიკაციის თავისებურების, სტრესულ სიტუაციების მართვის უნარების განვითღარების მიზნით, ჩაუტარდათ ტრენინგები: **„ემოციური სტაბილურობა და სტრესის მართვა“** (22 მსმენელი), **„სხეულის ენა/კომუნიკაციის თავისებურებები“** (22 მსმენელი).
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამხრეთ კავკასიის ოფისთან თანამშრომლობით განხორციელდა ტრენინგი „**სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა“**, რომელიც ჩატარდა საქართველოს რეგიონების ააიპ-ების ფინანსური მიმართულების თანამშრომლებისთვის (460 მსმენელი).
- UNDP გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელდა ტრენინგები: „**სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა“**, რომელიც ჩატარდა საქართველოს
- რეგიონების ააიპ-ების ფინანსური მიმართულების თანამშრომლებისთვის (208 მსმენელი) და **„ბიუჯეტის მართვის ელექტრონული** სისტემა“ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული საჯარო მოხელეებისათვის (206 მსმენელი).
- UNEP/OCHA Environment Unit (JEU)-სთან თანამშრომლობის საფუძველზე ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სპეციალისტების ქიმიური და სხვა საგანგებო სიტუაციების მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გარემოს დაცვის, ეკონომიკის სამინისტროსა და შსს-ს საგანგებო სიტუაციების

სამსახურის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენიგი ეკოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და სწრაფი ეკონომიკური შეფასების ინსტრუმენტები (40 მსმენელი).

საქართველოს სახელმწიფოებრივი და რეგიონალური ინტერესებიდან გამომდინარე საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების მიზნით:

- ტაჯიკეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დელეგაციისათვის ჩატარდა სასწავლო კურსი „სახელმწიფო ხაზინის სისტემის გაცნობა“ (7 მსმენელი).
- ყირგიზეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დელეგაციისათვის ჩატარდა სასწავლო კურსი თემაზე: „გამოყენებითი მაკროეკონომეტრიკული ინსტრუმენტები საბიუჯეტო და ეკონომიკური პროცესების ანალიზისათვის“ (8 მსმენელი).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა რეგიონალური სასწავლო კურსები, რომელშიც საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების, ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და ეროვნული ბანკის წარმომადგენლები: **„ფისკალური ანალიზი და პროგნოზირება“** (23 მსმენელი), **მაკროეკონომიკური დიაგნოსტიკა** (30 მსმენელი), **მაკროეკონომიკური მენეჯმენტი და ფისკალური შედეგების გამოწვევები** (30 მსმენელი).
- მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, ასევე, ევროკავშირის თანადაფინანსებით აკადემიაში განხორციელდა კონფერენცია თემაზე: „საბიუჯეტო საკითხები და პოლიტიკა“ და „ფისკალური პროგნოზირება და პოლიტიკა“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ბანკის, ევროკავშირის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის ყირგიზეთის, საქართველოს სხვადასხვა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა (40 მონაწილე).
- ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ჰოლანდიელმა ექსპერტებმა ჩაატარეს ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები თემებზე: **“IT აუდიტი“** (13 მსმენელი), **ადამიანური რესურსების მართვა** (21 მსმენელი).

	დასახული საბოლოო შედეგები:	მიღწეული საბოლოო შედეგი:	მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები
1	**ფინანსთა სამინისტროს სისტემის კადრების სწორად შერჩევის, პროფესიული სწავლების, მომზადება/გადამზადების და მათი მუშაობის ეფექტიანობის ზრდა.**	განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სწავლებისა და პროფესიული მომზადების მიმართულებით (ტრენინგები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.); ფინანსთა სამინისტროს სისტემისათვის განხორციელდა სტაჟიორების მომზადება/გადამზადება. ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ახალი კადრების შერჩევის მიზნით, ჩატარდა კონკურსები.	სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა ფინანსთა სამინისტროს სისტემის 678-მა თანამშრომელმა. ფინანსთა სამინისტროს სისტემის ახალი კადრების შერჩევის მიზნით, ტესტირება ჩაუტარდა 1168 აპლიკანტს; სხვა დაინტერესებული საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ახალი კადრების შერჩევის მიზნით, ტესტირება ჩაუტარდა 747 აპლიკანტს.
2	**ფინანსთა სამინისტროს პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს საფინანსო, საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის სწორად იმპლიმენტირების ხელშეწყობა - საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციებისათვის სასწავლო პროექტების, საკანონდებლო სიახლეების გაცნობისა და დამატებითი სერვისების შეთავაზების გზით.**	ჩატარდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციებისათვის დაგეგმილ, მიმდინარე თუ განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით (საფინანსო, საბიუჯეტო და საგადასახადო მიმართულებებით); ასევე, მათი წარმომადგენლების გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით. ფინანსთა სამინისტროს რეფორმების პრაქტიკაში წარმატებით დანერგვისა მიზნით, განხორციელდა რიგი ტრენინგები სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების	სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა 2739-მა საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციების თანამშრომელმა და სხვა დაინტერესებულმა პირმა. 1.სახელმწიფო ხაზინის ელექტონული მომსახურების სისტემა - სულ 1145 მსმენელი; 2. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები IPSAS - სულ 456 მსმენელი; 3.პროგრამული ბიუჯეტი -

		წარმომადგენლებისთვის.	სულ 75 მსმენელი; 4.ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა - სულ 206 მსმენელი; 5.შიდა აუდიტის საფუძვლები - სულ 65 მსმენელი;
3	**საერთაშორისო და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ერთობლივი სასწავლო და სოციალური პროექტების განხორციელება.**	გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმები ისეთ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან როგორიცაა - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და საერთაშორისო სავაჭრო პალატა. ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და საქართველოს ბიზნეს ასოციაციის თანამშრომლობით სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით, აკადემიაში გაიმართა შეხვედრები, რომელსაც ესწრებოდნენ ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენლები და ფინანსთა სამინისტროს უწყებათა ხელმძღვანელი პირები. აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობდა საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან ტრენინგების ერთობლივი განხორციელების მიზნით.	სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში აკადემიის მიერ განხორციელებული სასწავლო კურსი გაიარა 102-მა პირმა. საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში აკადემიაში ჩატარდა ტრენინგები 108 სტუდენტისთვის. განსაკუთრებულად აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ კომპანია „ლუის ბერგერთან“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) და გაეროს განვითარების პროგრამასთან, რომელთა დაფინანსებით მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების

			გადამზადება ელექტრონული ხაზინის, ელექტრონული ბიუჯეტის, შიდა აუდიტისა და საჯარო ფინანსების მართვის საკითხებზე.
4	**საქართველოს სახელმწიფოებრივი და რეგიონალური ინტერესებიდან გამომდინარე საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების (ტრენინგები, სემინარები და ა.შ.) განხორციელება.**	საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აკადემიის ერთობლივი ორგანიზებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა სამი რეგიონალური სასწავლო კურსი, რომელიც მონაწილეობის მიზნით, ქართველ კოლეგებთან ერთად (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ეროვნული ბანკის და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წარმომადგენლები), მოწვეული იქნენ ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების, ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები.	საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ინსტიტუტთან თანამშრომლობით, საქართველოს, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნიდან აკადემიაში სწავლება გაიარა 83-მა წარმომადგენელმა. საერთშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან, სამივე განხორციელებულ კურსზე გაკეთდა დადებითი შეფასება.
		წარმატებით დასრულდა ევროკავშირთან თანამშრომლობით განხორციელებული ფინეთთან და ესტონეთთან „დამეგობრების“ პროექტი რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა აკადემიის შესაძლებლობები.	პროექტის ფარგლებში შემუშავდა სტრატეგია, ხარისხის სახელმძღვანელო, გაიწერა პროცესები, მომზადდა კალენდარი, ა.შ.
		საქართველოსა და ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა 2015 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმა,	განხორციელდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები თემებზე: “IT აუდიტი“ (13 მსმენელი), ადამიანური რესურსების მართვა (21 მსმენელი).

		განხორციელდა ტრენინგები და კონსულტაციები.	აკადემიამ უმასპინძლა ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთა ვიზიტს, რომლის ფარგლებში დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა.
		საქართველოს გამოცდილებისა და დაგროვებული ცოდნის გაზიარების მიზნით, განხორციელდა ტრენინგები ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის ტაჯიკეთიდან და ყირგიზეთიდან.	განხორციელდა ორი ტრენინგი.
		განხორციელდა საერთაშორისო კონფერენცია და სამუშაო შეხვედრები თემაზე: „საბიუჯეტო საკითხები და პოლიტიკა“ და „ფისკალური პროგნოზირება და პოლიტიკა“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ბანკის, ევროკავშირის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის ყირგიზეთის, საქართველოს სხვადასხვა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა.	ღონისძიებებს დაესწრო 40 მონაწილე, 20-მდე სხვადასხვა უწყების წარმომადგენელი.